

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„დაქსი“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	6
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	7
4. ძირითადი საშუალებები	13
5. ფული და ფულადი ეკვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
8. მიღებული სესხები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. საგადასახადო ვალდებულებები	15
11. ამონაგები	15
12. თვითღირებულება	16
13. ადმინისტრაციული ხარჯები	16
14. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16
15. ფინანსური ხარჯი	17
16. მოგების გადასახადის ხარჯი	17
17. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	01.01.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1337267	819 330
სულ გრძელვადიანი აქტივები		1337267	819 330
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	5	95186	227 927
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	42922	106 031
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	758792	436 241
საგადასახადო აქტივები	10	31251	
სხვა პირებზე გაცემული ავანსები		57210	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		985361	770 199
მთლიანი აქტივები		2322628	1 589 529
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		429375	492 690
სულ საკუთარი კაპიტალი		429375	492 690
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	1677178	919 333
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1677178	919 333
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	39923	50 860
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	8	144,326	87 153
საგადასახადო ვალდებულებები	10		35 552
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		31826	
დარიცხული ვალდებულებები			3 941
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		216075	177 506
სულ ვალდებულებები		1893253	1 096 839
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2322628	1 589 529

ჯუმბერი დათეშიძე
დირექტორი



მაია თევდორაძე
ბუღალტერი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
	ა		
ამონაგები	11	1165946	994098
თვითღირებულება	12	(522750)	(631759)
საერთო მოგება		643196	362339
მიწოდების დანახარჯები		(13860)	(7087)
შრომის ანაზღაურება		(367863)	(33588)
ცვეთა		(19868)	(11370)
იჯარა		(22500)	(9000)
ადმინისტრაციული და სხვა არასაოპერაციო ხარჯები	14	(181058)	(125510)
საოპერაციო მოგება		38047	175784
ფინანსური ხარჯი	15	(155816)	(48812)
მოგება დაბეგვრამდე		(117769)	126972
მოგების გადასახადი	16	(1735)	(13994)
წმინდა მოგება		(119504)	112978
სხვა სრული შემოსავალი		56189	
მთლიანი სრული მოგება/ზარალი		(63315)	112978


ჯუმბერი დათეშიძე
დირექტორი




მაია თევდორაძე
ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 01 იანვარი	-	492 690	492 690
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-
დივიდენდის გატანა	-	-	-
წმინდა მოგება	-	(63315)	(63315)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	492 690	492 690


 ჯუმბერი დათეშიძე
 დირექტორი




 მაია თევდორაძე
 ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	ბენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა ოპერაციები		24529	207053
საბიუჯეტო გადასახადი		-144290	-4309
სოციალური გადასახადი		-15239	-8185
სხვა საგადასახადო ვალდებულება		-2800	-4135
გადახდილი პროცენტი		-146773	-456699
გადახდილი მოგების გადასახადი			-13994
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		-284573	130761
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	-645676	-587632
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-645676	-587632
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სუბსიდია/თანადაფინანსება		23781	
სასესხო ვალდებულების ზრდა		865000	865948
სასესხო ვალდებულების შემცირება		-87811	-132457
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულად ექვივალენტზე		-3462	-1980
გადახდილი დივიდენდი			-38534
ცვლილება საწესდებო კაპიტალში			-34594
		797508	658383
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		-132741	201512
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	6	227927	26415
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი		95186	227927

ჯგერბერი დათეშბიძე
დირექტორიმაია თევდორაძე
ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „დაქსი“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „დაქსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ქუთაისში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 18/05/2015 წელს, ს/კ - 412708413.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის 100% წლის მფლობელი პარტნიორებია ჯუმბერ დათეშიძე - 50% და თამარ ბიბილეიშვილი - 50%.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N141ბ. საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ იმერეთის რეგიონში. მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს კომპიუტერული, ვიდეო მონიტორინგის და სხვა ტექნიკით ვაჭრობა და მათი მომსახურება, ასევე პროგრამული უზრუნველყოფით მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 35-ე მუხლის „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მოთხოვნების მხოლოდ ნაწილის შესრულებით, კერძოდ კომპანიამ იხელმძღვანელა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითებით, მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის. 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით, კომპანიამ გამოიყენა ზემოთ აღნიშნული სარეკომენდაციო მითითების გამარტივებული მიდგომა და მოამზადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2024 წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს

ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც კომპანია გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, კომპანია მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისათვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურების აღიარება და შეფასება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), კომპანიამ უნდა აღადგინოს (უკუგაბრუნებინოს) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების

რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

კომპანია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კომპანიას ისტორიულად არ ექონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულითა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანია მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს,

ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- შენობა - 20 წ
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წ
- მანქანა-დანადგარები - 5წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: ლიცენზიებისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.14 დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.15 იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას კომპანიისათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.16 შეფასებები საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და

ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.17 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ნაშთები და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები საბანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდგომნაირად:

	დაუმთავრ. შენიშვნა	ოფისის აქტივები	ავტო და სხვა ინვენტარ	სატრანსპ. საშუალებები	მანქანა- დანადგარები	გაქირავებული მოწყობილობები	არამატე რიალურ ი აქტივი	სულ
	ა	ა	0	0	0	0	-	819 330
01 იანვარი 2024	771 379	26 256	-	21 695	-	-	-	547 183
შემოსვლა	459059	27722	780	42984	7296	9342	2157	19509
გასვლა	-	(12760)	(39)	(4320)	(1213)	(685)	(360)	-
ცვლელა და გაუფასურება	1230438	41218	741	48333	6083	8657	1797	1337267
31 დეკემბერი 2024								

ძირითადი საშუალებების ცვლელა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვლელის თანხის გამოკლებით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი შენობა (საკადასტრო კოდი - 03.04.22.178) წარმოდგენს გირავნობის საგანს სს „თიბისი ბანკიდან“ მიღებული გრძელვადიანი სესხების უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულადი ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკ.24	01.იან.24
ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	186	118
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	90437	219 421
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	4562	8 388
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	95186	227 927

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკ.24	01.იან.24
სავაჭრო მოთხოვნები	42922	36 411
გადახდილი ავანსები	57210	69 620
საგადასახადო აქტივები	31251	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	131383	106 031

საწარმო საეჭვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.დეკ.24	01.იან.24
საქონელი	757822	434783
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	970	1458
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	758792	436241

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 522750 ლარი (იხ. შენიშვნა 12).

8. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.დეკ.24	01.იან.24
გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში	611497	649 785
გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში	1065681	269 548
სულ გრძელვადიანი სესხები	1677178	919 333
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში	66640	56 701
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში	68867	30 452
სულ გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	135507	87 153
სულ მიღებული სესხები	1812685	1 006 486

კომპანიამ 2022 წლის ნოემბრის თვეში გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“ გრძელვადიან ბიზნეს სესხზე შემდეგი პირობებით: სესხის თანხა - 280,000 აშშ დოლარი, სესხის ვადა - 120 თვე, სესხის პროცენტი - 7.5%. საანგარიშგებო პერიოდში დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა შეადგინა - 56068 ლარი.

ასევე კომპანიამ 2023 წლის ნოემბრის თვეში „თიბისი ბანკთან“ გააფორმა 900,000 ლარიანი სასესხო ხელშეკრულება. სესხის გაცემა ხდება ტრანშებად. სესხის პირველი ტრანში, სავალდებულო მინიმუმ 300,000 ლარი, კომპანიას ათვისებული აქვს ხელშეკრულების გაფორმების დღეს, ხოლო დანარჩენი თანხა ტრანშებად ათვისებული აქვს საანგარიშგებო პერიოდში სრულად. სესხის ვადა - 120 თვე, სესხის პროცენტი - 12.7%. კომპანია ჩართულია „აწარმოე საქართველოში“-ს პროგრამაში. საანგარიშგებო პერიოდში დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა შეადგინა - 92320 ლარი.

ასევე კომპანიამ 2024 წლის აგვისტოს თვეში „თიბისი ბანკთან“ გააფორმა 365000 ლარიანი სასესხო ხელშეკრულება. სესხის გაცემა ხდება ტრანშებად. სესხის ორი ტრანში 265000 ლარი, კომპანიას ათვისებული აქვს საანგარიშგებო პერიოდში, სესხის ვადა - 120 თვე, სესხის პროცენტი - 12.9%. კომპანია ჩართულია „აწარმოე საქართველოში“-ს პროგრამაში. საანგარიშგებო პერიოდში დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა შეადგინა - 7428 ლარი.

სამივე სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი შენობა (იხ. შენიშვნა 4).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ კომპანიის დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა შეადგინა - 155816 ლარი

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.დეკ.24	01.იან.24
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2397	29 070
მიღებული ავანსები	15026	14 290
გადასახდელი სესხის პროცენტი	8818	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22500	7 500
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	48741	50 860

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.დეკ.24	01.იან.24
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	7 194
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(34420)	
გადასახდელი დღგ	3092	24 352
გადახდილი დღგ	243	-
ქონების გადასახადი	(52)	4 006
სოციალური გადასახადი	(114)	
სულ საგადასახადო ვალდებულება/(აქტივი)	31251	35 552

11. ამონაგები

ამონაგებმა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024
შემოსავალი პროდუქციის რეალიზიციიდან	766847

გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(14510)
შემოსავალი მომსახურებიდან	413609
სულ ამონაგები	1165946

12. თვითღირებულება

თვითღირებულება 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შემდეგია:

	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(531932)
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება	9182
სულ თვითღირებულება	(522750)

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით.

13. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შემდეგია:

	2024
შრომის ანაზღაურება	(367863)
სოციალური დანარიცხები	(6728)
საიჯარო ქირა	(22500)
ცვეთა და ამორტიზაცია	(19868)
სხვა საერთო ხარჯი	(90819)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(507778)

14. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები / ხარჯები

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შემდეგია:

	2024
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	5377
შემოსავალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	229
არასაოპერაციო შემოსავალი სუბსიდიებიდან/ თანადაფინანსებიდან	23781
შემოსავალის მიღებული ავანსის ჩამოწერიდან	19996
ხარჯის კორექტირება	1329
გაურკვეველი შემოსავლები	5477
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(51751)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(33109)
აუღიარებელი ვალი რომელიც არ ჩარიცხეს	(196)
ჯარიმები	(1731)
უსასყიდლო მიწოდება	(737)
ზარალი დებიტორის ჩამოწერიდან	(9847)

სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(-41182)
---------------------------------------	-----------------

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024
საპროცენტო ხარჯი დოლარის სესხის (იხ. შენიშვნა 8)	(56068)
საპროცენტო ხარჯი ლარის სესხის (იხ. შენიშვნა 8)	(99748)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	(155816)

16. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შემდეგია:

	2024
უსაბუთო ხარჯის	(26)
დანაკლისი	(24)
დებიტორ-კრედიტორის ნაშთის გასწორება	(1685)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	(1735)

17. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 2024 წლის განმავლობაში, რომლებიც აისახა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:

2024 წელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
ხელფასის ხარჯი	(19987)	-	(19987)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიღებული ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:

31.დეკ.2024	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშ. მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(1224)	-	(1224)

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერი